პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 37-ე წელი № 175 (10569) | ქვირა, 29 ივლისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა — ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფოს საზღვაო ძალიერების დღესასწაული.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები ხალხის ნაამაგარის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარის საიმედო დამცველები არიან. ჩვენს ხალხს უყვარს თავისი არმია, ავიაცია, ფლოტი. საბჭოთა კავშირი არა მარტო უდიდესი სახმელეთო სახელმწიფოა, არამედ დიდი საზღვაო ქვეყანაც. მისი საზღვაო საზღვრები ორმოცდაშვიდი ათას კილომეტრზეა გადაჭიმული. ამიტომ ძლავრ საბჭოთა არმიასთან ერთად ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად გვყავს ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტიც.

ჩვენი სამშობლოს საზღვაო ფლოტს სახელოვანი ტრადიციები, გმირული ისტორია აქვს. რუსმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს მრავალი ახალი მიწა, უდიდესი წვლილი შეიტანეს მშობლიური და მსოფლიო მეცნიერების განვითარების საქმეში. მათ გამოიკვლიეს წყნარი ოკეანის სხვადასხვა ნაწილი და მისი ნაპირები ალასკიდან ავსტრალიამდე, შეაღწიეს სამხრეთი ყინულოვანი ოკეანის მანამდე უცნობ რაიონებში და პირველებმა აღმოაჩინეს ანტარქტიდა. შემთხვევითი როდია, რომ გეოგრაფიულ რუკებზე ხუთასზე მეტი ზღვა, სრუტე, კუნძული და არქიპელაგი ატარებს ჩვენი სახელოვანი მეზღვაურების სახელს.

მაგრამ რუს მეზღვაურებს მთელი მსოფლიო იცნობს არა მარტო როგორც დაუღალავ მკვლევარებს, არამედ როგორც მამაც და შეუდრეკელ მეომრებსაც. საბჭოთა ადამიანები სიყვარულით წარმოთქვამენ გამოჩენილი ფლოტთა მძღოლების — უშაკოვის, სენიავინის, ლაზარევის, ნახიმოვის, მაკაროვის სახელებს, რომელთა ხელმძღვანელობით რუსეთის ესკადრები სახელოვნად იმარჯვებდნენ სამშობლოს მტრებზე.

საბჭოთა მეზღვაურებმა კიდევ უფრო გაამრავლეს რუსული სამამულო ფლოტის სახელოვანი ტრადიციები. მათ უჭკნობი დიდების სახელი მოიხვეჭეს ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში და მშობლიური ფლოტისა და რუსეთის იარაღის ისტორიაში ახალი ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს. დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა მეზღვაურებმა ბალტიის, შავ და ბარენცის ზღვებზე, ვოლგაზე, დნეპრსა და დუნაიზე ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე, თავიანთი უბადლო გმირობითა და თავგანწირვით მსოფლიო ხალხების აღტაცება და პატივისცემა დაიმსახურეს.

ჩვენმა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს. გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო წყობილებამ, გაიმარჯვეს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა, გაიმარჯვა კომუნისტური პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ. პარტიის ხელმძღვანელობა, მისი რიგების მონოლითური ერთიანობა წარმოადგენდა მტერზე გამარჯვების უზრუნველყოფის წყაროს. ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხმა არა მარტო აღადგინა სახალხო მეურნეობა, დანგრეული ქალაქები და სოფლები, არამედ შორსაც ჩამოიტოვა ის ეკონომიური დონე, რომელზეც ომმა შეწყვიტა მისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

დღითიდღე იზრდება და ვითარდება ჩვენი მძიმე ინდუსტრია — სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველი. მისი განვითარებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამაც. ჩვენი მძიმე მრეწველობა აძლევს საბჭოთა საზღვაო ფლოტს პირველხარისხოვან ხომალდებსა და საბრძოლო ტექნიკას.

პარტია, მთავრობა, ხალხი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ფლოტის მშენებლობისათვის. ამ მზრუნველობის ნათელი გამოხატულებაა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობი ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნაც. ამ საზოგადოების მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები მუშაობენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, შახტებსა და მაღაროებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სხვადასხვა დაწესებულებებში. ეს ორგანიზაციები მოწოდებული არიან დააკმაყოფილონ მშრომელთა, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის ინტერესი როგორც არმიისა და ავიაციისადმი, ისე საზღვაო საქმის შესწავლისადმი, მოაწყონ ამ საქმის ფართო პროპაგანდა, ხელი შეუწყონ ფლოტის ახალი კადრების მომზადებას.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როცა ჩვენი ხალხი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით განუხრელად და მტკიცედ ახორციელებს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მტკიცე რწმენით მიდის წინ, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების გზით, დაუღალავად იბრძვის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა ვიზიტებმა მთელ რიგ ქვეყნებში, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომმა განმტკიცებამ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების თანამიმდევრულმა შემცირებამ ჯერ 640 ათასი კაცით, ხოლო შემდეგ 1,2 მილიონი კაცით, რაც ამჟამად ხორციელდება, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებმა შეიარაღებისა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საკითხებზე, ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ცხოვრებაზე, საგრძნობლად შეანელა საერთაშორისო დაძაბულობა, უფრო მეტად აამაღლა საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტი და მთელი მსოფლიოსათვის ერთხელ კიდევ ნათელი გახადა ჩვენი ხალხის მისწრაფება საყოველთაო მშვიდობისა და სხვა ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ.

ჩვენი ძლევამოსილი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა მომხრეთა სულ უფრო ფართო მასებს იძენს. მსოფლიოს ჯანსაღი, პროგრესული ძალები, დედამიწის ყველა კუთხის უბრალო ადამიანები სულ უფრო მეტად რწმუნდებიან ომების თავიდან აცილების შესაძლებლობაში და გადაჭრით იბრძვიან ამისათვის, რომ გზა გადაეღობონ ახალ სისხლიან ომებს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე დღესასწაულია საბჭოთა ხალხისა, რომელიც ფხიზლად დგას მშვიდობიანი შრომისა და სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1956 წ. 29 ივლისი № 108 ქ. მოსკოვი

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ მატროსებსა და ჯარისკაცებს, ზემდეგებსა და სერჟანტებს, ოფიცრებს, ადმირალებსა და გენერლებს შემდგომ წარმატებებს ახალი საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის ათვისებაში, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

გემთმშენებელი მრეწველობის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს ვუსურვებ ახალ მიღწევებს საბჭოთა გემთმშენებლობის გაუმჯობესებისა და განვითარების საქმეში.

დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 29 ივლისს, ფლოტებსა და ფლოტილიებში მიცემულ იქნას სამხედრო ხომალდებისა და სანაპირო ბატარიების სალუტი 21 საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი **გ. ჟუკოვი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვორონეჟის საოლქო კომიტეტსა და საოლქო აღმასკომს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, რომლებიც გამოვიდნენ რძისა და ხორცის წარმოების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად, ამ საქმეში დიდი წარმატებანი მოიპოვეს და ვადამდე, 1956 წლის 27 ივლისს შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, რომელიც დაწესებულია მთლიანად ოლქის ყველა კატეგორიის მეურნეობისათვის.

ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებანი იმის თვალსაჩინო დადასტურებაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — ხუთწლედში ერთიორად გადიდდეს რძისა და ხორცის წარმოება, შეიძლება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადაწყდეს არა ხუთ წელიწადში, არამედ ორ, მაქსიმუმ სამ წელიწადში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ულოცავს ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს მიღწეულ წარმატებებს და რწმენას გამოთქვამს, რომ ისინი კვლავაც დაუღალავად იშრომებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელებისათვის და ღირსეულ წვლილს შეიტანენ რძით, ხორცით და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

ვორონეჟის ოლქმა შეასრულა რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მეტი პროდუქტების წარმოების გადიდების ნაკისრ ვალდებულებათა [illegible] ლად და ვადამდე, მიმდინარე წლის 27 ივლისს შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის 1956 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც დაწესებული იყო ოლქისათვის. სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდულია 182 ათასი ტონა რძე, ანუ 80 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ოლქის კოლმეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებისა და მიყიდვის წლიური გეგმა 1956 წლის 26 ივნისს, ხოლო მიმდინარე წლის 27 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩაბარეს და მიჰყიდეს თითქმის ერთიორად მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამ დროისათვის.

მიმდინარე სამეურნეო წლის განვლილ 9 თვესა და 25 დღეში ოლქის კოლმეურნეობებში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.830 კილოგრამი რძე, ანუ 751 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

ძროხის რძის პროდუქტიულობის გადიდებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა უძვირფასესმა კულტურამ — სიმინდმა. ითვალისწინებენ რა ამას, ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს დათესეს 376 ათასი ჰექტარი სიმინდი, ანუ 94 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

რძის წარმოებისა და დამზადების ზრდამ და მთავრობის მიერ შემოღებულმა ოლქების წახალისების წესმა რძის ზეგეგმითი შესყიდვისათვის, შესაძლებელი გახადა რძითა და რძის პროდუქტებით განუწყვეტელი ვაჭრობის მოწყობა ვორონეჟში და ოლქის სხვა ქალაქებში.

ოლქის კოლმეურნეობებმა გააჩაღეს ბრძოლა იმისათვის, რომ წლის განმავლობაში შეასრულონ რძის დამზადებისა და შესყიდვის ორი წლის გეგმები და ვადამდე, 1957 წლის 1 იანვრისათვის შეასრულონ რძის წარმოების გაორკეცების ნაკისრი ვალდებულებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება — უარი თქვას ირანის სასარგებლოდ თავის უფლებებზე, რომლებიც გამომდინარეობენ ჩრდილოეთ ირანში არსებული საბჭოთა კავშირ-ირანის საერთო საზოგადოება „ქვევრ-ჰურიანში“ მონაწილეობიდან. საერთო საზოგადოება „ქვევრ-ჰურიანი“ დაარსებული იყო 1925 წელს ქვევრ-ჰურიანის რაიონში ნავთობის საბადოების ექსპლოატაციისა და ნავთობის პროდუქტების გადამუშავებისა და გაყიდვის სამუშაოთა წარმოებისათვის 70 წლის ვადით.

იღებს რა ამ გადაწყვეტილებას, სსრ კავშირის მთავრობა ხელმძღვანელობს მეგობრული გრძნობებით ირანის მიმართ და ემყარება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებს აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ, რომლებიც დაადგნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების გზას. ირანის სახელმწიფოსათვის ყველა უფლებისა და საქციო საზოგადოება „ქვევრ-ჰურიანის“ ქონებრივ ფასეულობათა საბჭოთა კავშირის წილის გადაცემა საბჭოთა სახელმწიფოს ამ პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენს.

სათანადო განცხადება საქციო საზოგადოება „ქვევრ-ჰურიანში“ საბჭოთა მხარის უფლებებისა და ქონების ირანისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გაკეთებული იყო სსრ კავშირში მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის ყოფნის დროს.

ვარშავიდან გამოემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

ვარშავა, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს თვითმფრინავით ვარშავიდან გაფრინდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვს, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ოხაბს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ზავადსკის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ცირანკევიჩს.

ვარშავის ცენტრალურ აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბა ქარხნების, ფაბრიკების, დედაქალაქის მშენებლობათა, უმაღლეს სასწავლებელთა, სკოლების მრავალი დელეგაცია. კოლონებს მოჰქონდათ აუარებელი ალამი. გამცილებელთა შორის იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები რ. ზამბროვსკი, ფ. მაზური, ზ. ნოვაკი, კ. როკოსოვსკი, ფ. იუჟვიაკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ა. რაპაცკი, გ. ხელკოვსკი, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვა ოფიციალური პირები. გაცილებაზე იყვნენ აგრეთვე დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, რომლებიც აკრედიტებული არიან პოლონეთში.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჰიმნებს. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი და ი. ცირანკევიჩი ჩამოუვლიან საპატიო ყარაულის მწყობრს. პოლონელი ბავშვები, აგრეთვე საბჭოთა პიონერები, რომლებიც პოლონეთში ისვენებენ საერთაშორისო პიონერულ ბანაკში, საბჭოთა დელეგაციის წევრებს გადასცემენ ყვავილების თაიგულებს.

შეკრებილთ სიტყვით მიმართავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მთავრობის, მთელი პოლონელი ხალხის სახელით იგი მხურვალე მისალმების სიტყვებს გადასცემს საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებსა და მთელ საბჭოთა ხალხს.

ი. ცირანკევიჩის სიტყვა

ძვირფასო სტუმრებო!

პოლონელი ხალხი გულითადად მოგესალმათ თქვენ როგორც უაღრესად ახლო მეგობრებს ჩვენს პოლონეთის დღესასწაულზე, აღორძინების დღესასწაულზე.

დღესასწაული პოლონეთის განთავისუფლებისა ჰიტლერული ოკუპაციისაგან, რომელიც პოლონელ ხალხს მოსპობას უქადდა, განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლასთან და მის გამარჯვებასთან ფაშიზმის ძალებზე. საბჭოთა მეომრებთან ძმური კავშირით იბრძოდნენ პოლონელი ჯარისკაცები თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

განთავისუფლების დღესასწაული, 22 ივლისის დღესასწაული, განუყოფლად დაკავშირებულია პოლონეთის ისტორიულ მიღწევებთან, ძველ პოლონურ მიწებზე მის დაბრუნებასთან, ოდერსა და ნოისეზე სახალხო პოლონეთის საზღვრების დაწესებასთან.

ჩვენს სტუმრებს, საბჭოთა მთავრობის დელეგაციას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინისა და თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის მეთაურობით, ჩვენს ქვეყანაში ყოფნისას შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ პოლონელი ხალხის გულითად გრძნობებში, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის გრძნობებში, რომლებითაც ღრმად გამსჭვალული არიან სახალხო პოლონეთის ფართო მშრომელი მასები.

თქვენ მიგიღოთ მამაცმა მუშურმა ლომმა — 1905 წლის რევოლუციის ქალაქმა, თავისი განთავისუფლებისათვის პოლონელი და რუსი პროლეტარიატის ერთობლივი ბრძოლის სიმბოლომ. თქვენ მიგიღოთ ძველმა კრაკოვმა და ახალი გუტას მუშებმა, მთელი სილეზია — პოლონეთის მრეწველობის გული — გამოვიდა თქვენთან შესახვედრად. ძველმა პოლონურმა სილეზიამ, მუშათა კლასის უდიდესმა რაზმმა, მხურვალედ, ისე როგორც არასოდეს, ცხადყო თავისი გრძნობები სოციალიზმის პირველი ქვეყნის წარმომადგენლებისადმი, ქვეყნისა, რომლის არმიამ გაანადგურა ფაშიზმი, პოლონეთს დაუბრუნა სილეზიის ერთიანობა და პოლონური მიწების ერთიანობა ოდერამდე და ნოისემდე, სილეზიამ ცხადყო თავისი გრძნობები იმ ქვეყნის წარმომადგენლებისადმი, რომლის პოლიტიკა უცვლელად განამტკიცებს ამ საზღვრებს.

გულითადად მოგესალმნენ თქვენ აგრეთვე პოლონელი გლეხები. ყველამ პოლონეთში, მთელმა ხალხმა მხურვალედ მიგიღოთ თქვენ, როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლის მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ ესოდენ ბევრი რამ გააკეთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში, ქვეყნისა, რომლის ძალა და მტკიცე მშვიდობიანი პოლიტიკა წარმოადგენენ ურყევი მშვიდობის იმედს ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის.

პოლონელი ხალხი, სახალხო ხელისუფლება იღებდა და მიიღებს აქტიურ მონაწილეობას ამ პოლიტიკის განხორციელებაში, რადგან იგი შეესაბამება ჩვენი ქვეყნისა და მისი შემდგომი განვითარების უაღრესად ღრმა ინტერესებს.

ერთხელ კიდევ გმადლობთ, მეგობრებო!

თქვენ გულითადად მიგაცილებთ ვარშავა!

გაუმარჯოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას!

* * *

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, ქალაქ ვარშავის მოქალაქენო!

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო აღორძინების დღის დღესასწაულში და თქვენს ქვეყანაში გაატარა შვიდი შესანიშნავი, დაუვიწყარი დღე.

ჩვენ დავთვალიერეთ თქვენი საჩელოვანი დედაქალაქი ვარშავა, რომელიც უკვე ახლა წინანდელზე უფრო მშვენიერი გახდა. ჩვენ ვიყავით ფეიქართა ქალაქ ლოძში, ძველ კრაკოვსა და სულ ახალგაზრდა ქალაქში — ახალ გუტაში, სამრეწველო სილეზიაში. ჩვენ ვინახულეთ შესანიშნავი ქელიაზოვა ვოლია, სადაც დაიბადა პოლონელი ხალხის გენიალური შვილი შოპენი.

ყველგან ჩვენ ვხვდებოდით მეგობრულ, გულითად მიღებას მუშებთან, გლეხებთან, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, გვიგოონეთ და შევიტყეთ, შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ პოლონელმა ხალხმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ უდიდესი მუშაობა შეასრულეს პოლონეთის გარდაქმნის საქმეში.

ახლა სხვანაირი გახდა პოლონეთი. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი პირველხარისხოვანი სოციალისტური მრეწველობით, რომელიც შეიქმნა ექვსწლედის მანძილზე და რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ყოველივე, რაც საჭიროა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ჩვენზე წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვეს თქვენი ქვეყნის მშრომელებთან შეხვედრებმა, რომლებიც ცხოვრობენ ერთიანი მისწრაფებით — თავიანთი სამშობლო გახადონ ბედნიერი და მდიდარი, ძლიერი და აყვავებული.

პოლონელმა ხალხმა გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით პოლონეთის გარდაქმნის ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, შექმნა კარგად მოწყობილი, მტკიცე და დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფო. უკვე ახლა სახალხო პოლონეთმა ისეთი პატივისცემა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, რომლებიც არ შეეძლო ჰქონოდა და არც ჰქონია ომამდელ პოლონეთს, რომელსაც მემამულეები და კაპიტალისტები მართავდნენ.

სახალხო პოლონეთი ძლიერია თავისი ხალხის დარაზმულობით, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, ძლიერია საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ძმური მეგობრობით. ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეძლებს გაწყვიტოს ან შეასუსტოს თანასწორუფლებიანი სოციალისტური სახელმწიფოების ძმური თანამეგობრობა — ეს ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენთვის წარმატებებს, ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ პირადად ჩემი, საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვის სახელით, მთელი ჩვენი დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო პოლონეთის მთავრობას, მთელ პოლონელ ხალხს ძმური მიღებისა და იმ მეგობრობის გრძნობებისათვის, რომლებიც ჩვენდამი გამოიჩინეთ.

დაე ცოცხლობდეს საუკუნეებში, მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა!

გაუმარჯოს პოლონელ ხალხსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

ნახვამდის, ამხანაგებო!

* * *

ნ. ა. ბულგანინის დასკვნითს სიტყვებს შეკრებილნი ხვდებიან მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით და მისალმების შეძახილებით.

ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი და სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები გულითადად ეთხოვებიან ე. ოხაბს, ა. ზავადსკის, ი. ცირანკევიჩს, კ. როკოსოვსკისა და პოლონეთის სახალხო სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებს.

დილის 9 საათსა და 05 წუთზე ვერცხლისფერი მანქანა მიწას მოწყდა. თვითმფრინავმა აეროდრომის თავზე გაკეთა წრე და მოსკოვისაკენ აიღო გეზი.

პოლონეთიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ნ. ა. ბულგანინის მეთაურობით

28 ივლისს ვარშავიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას იღებდა პოლონეთის აღორძინების 12 წლისთავის დღესასწაულში. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია პოლონეთში

ვარშავა, 27 ივლისი. (საკდესი). დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოლონეთის მარშალ კ. როკოსოვსკის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები ეწვევიან ეროვნული თავდაცვის სამინისტროს.

შეხვედრაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ოხაბი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაკადსკი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე ს. პოპლავსკი, პოლონეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილი ბ. პიგარევიჩი, პოლონეთის ჯარის გენერლები და ოფიცრები.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა. საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით იგი მიესალმა პოლონეთის ჯარის სახელოვან მეომრებს.

12 წლის წინათ, თქვა გ. კ. ჟუკოვმა, პოლონელი ხალხის ისტორიაში დაიწყო დიადი ეპოქა — პოლიტიკური, ეკონომიური და ეროვნული აღორძინების ეპოქა, თქვენი შესანიშნავი ქვეყნის მატერიალური და სულიერი ძალების ნამდვილი აყვავების ეპოქა. პოლონელი ხალხის ისტორიაში ამ ისტორიულ აქტს წინ უძღოდა მკაცრი განსაცდელი, გმირული შეიარაღებული ბრძოლა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ. თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ეს ბრძოლა დიდებული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეულად შეასრულეს თავიანთი დიდი განმთავისუფლებელი მისია, თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა ყველა ხალხის წინაშე, მათ შორის პოლონელი ხალხის წინაშე. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი საბჭოთა არმიის მეომრების მხარდამხარ გაბედულად და მამაცურად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ პოლონეთის ჯარის მებრძოლები და მეთაურები და პოლონელი ხალხის მთელი ნამდვილად პატრიოტული ძალები.

შეეხო რა პოლონელი ხალხის წარმატებებს თავისი მეურნეობის განვითარებაში განვლილი 12 წლის მანძილზე, ამბ. გ. კ. ჟუკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანებს ახარებთ ეს შესანიშნავი მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში. ახლა, როცა სოციალიზმი მსოფლიო სისტემა გახდა, პოლონელ ხალხს, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის ყველა დანარჩენი ქვეყნის მშრომელებს, უაღრესად ხელსაყრელი პირობები აქვთ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

შემდეგ ამბ. გ. კ. ჟუკოვი აღნიშნავს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებათა კონსოლიდაცია, მშვიდობისმოყვარე ძალებისა, რომლებიც იბრძვიან ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის საქმიანი თანამშრომლობის დამყარებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

ჩვენმა პარტიამ, ამბობს გ. კ. ჟუკოვი, აშკარად და გადაჭრით გაილაშქრა პიროვნების კულტის წინააღმდეგ. პიროვნების კულტი მარქსიზმ-ლენინიზმისთვის აშკარად უცხო მოვლენაა, მაგრამ პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა სრულიადაც არ ნიშნავს ხელმძღვანელთა როლის, საერთოდ ავტორიტეტის როლის უარყოფას. ზოგან პიროვნების კულტი აურიეს არმიაში ერთმმართველობის საკითხთან. ეს სერიოზული შეცდომაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის, ვინც ცდილობს პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა გაიგოს როგორც ერთმმართველობის წინააღმდეგ ბრძოლა, ცუდ სამსახურს უწევს თავისი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის გადიდების საქმეს.

ამბ. გ. კ. ჟუკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტური ბანაკის არმიებს შორის საბრძოლო თანამეგობრობას საფუძვლად უდევს ინტერნაციონალური ამოცანების ერთობა, უანგარო ძმური მეგობრობა, ხალხთა მეგობრობა. ჩვენი მეგობრობა, ამბობს იგი, განმტკიცდა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ სასტიკ ბრძოლებში. სანამ საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა არსებობს, ჩვენთვის საშიში არ არის მუქარა, არავითარი მტერი და მისი ავანტიურები.

შემდეგ ამბ. გ. კ. ჟუკოვი მოკლედ შეეხო მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების მომზადების ძირითად ღონისძიებებს და თანამედროვე სამხედრო ხელოვნების თავისებურებებს.

თავისი სიტყვა, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს, ამბ. გ. კ. ჟუკოვმა დაამთავრა იმით, რომ გამარჯვება უსურვა გმირ პოლონელ ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა და პოლონელი ხალხების ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა არმიისა და პოლონეთის ჯარის საბრძოლო თანამეგობრობას.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სახელით საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა პოლონეთის ჯარს საჩუქრად გადასცა ბრინჯაოს სკულპტურული ჯგუფი, რომელიც სიმბოლიურად გამოხატავს საბჭოთა არმიის ისტორიულ გამარჯვებას ფაშიზმზე. რაიხსტაგის სვეტის ფონზე გამოხატული არიან საბჭოთა მეომრები. ქანდაკებაზე ამოკვეთილია სიტყვები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და პოლონეთის ჯარის საბრძოლო მეგობრობას!“

მიიღო რა საჩუქარი, პოლონეთის მარშალმა კ. როკოსოვსკიმ გულითადი მადლობა გადაიხადა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მეგობრული საჩუქრისთვის. მან მიმართა საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვს და თქვა:

— მეგობრებს გაჯირვებაში იცნობ. პოლონელი და საბჭოთა მეომრების საბრძოლო მეგობრობა განმტკიცებულია ერთად დაღვრილი სისხლით ბრძოლის ველებზე საერთო მტრის წინააღმდეგ, ფაშისტ ოკუპანტთაგან პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ჩვენს მიწა-წყალზე ბევრია დაღუპული საბჭოთა მეომრების საფლავები. მათ ნათელ ხსოვნას მოწიწებით სცემს პატივს მთელი პოლონელი ხალხი.

პოლონეთის ჯარისა და საბჭოთა არმიის მარადიული ურღვევი მეგობრობის ნიშნად პოლონეთის მარშალმა კ. როკოსოვსკიმ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვს გადასცა ქანდაკება და სურათი, რომლებიც ასახავენ პოლონელი მეომრების საბრძოლო გმირობას წარსულ ომში.

შეხვედრამ განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

დასასრულ გაიმართა ჯარისკაცების, ოფიცრებისა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.



პაკისტანის პარლამენტის დელეგაცია თბილისში

28 ივლისს ტაშკენტიდან თბილისს ჩამოვიდა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს. დელეგაციას მეთაურობს მუსლიმთა ლიგის ერთ-ერთი ლიდერი, სინდის პროვინციის ყოფილი მთავარი მინისტრი ბ-ნი მოჰამედ აიუბ ჰურო. დელეგაციაში შედიან პაკისტანის ეროვნული კრების წევრები მალიკ ჯაჰანგირ ხანი, ადელუდინ აჰმედი, ნურულ რაჰმანი, ჰაირ ბაბუ მარი, დასავლეთ პაკისტანის საკანონმდებლო კრების წევრი ქ-ნი სავარი ირფანულა, აღმოსავლეთ პაკისტანის საკანონმდებლო კრების წევრი ქ-ნი ანვარა ხათუნი, პაკისტანის ეროვნული კრების მდივანი მოჰამედ ბაშირ აჰმალი, პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის თანამშრომელი ამანულა სარდარი, აგრეთვე დელეგაციის მეთაურის ჰუროს ქალიშვილი ჰალიდა.

სტუმრების შესახვედრად აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო პაკისტანის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, მოვიდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. ს. როსტიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები კ. ს. ციმაკურიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ვ. ჭირაქაძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ა. ჯაბუა, ბ. ა. ჩხეიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. ე. მელაძე, ა. ა. გიგოშვილი, გ. ა. რობაქიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. ლომიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ლ. გუნია, ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ი. ჩხიკვიშვილი, ა. კ. კელენჯერიძე, უ. მ. ჯაფარიძე, თ. ნ. მრევლიშვილი, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელით ჩამოსულთ გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. დ. კუპრაძე.

მიკროფონთან მიდის დელეგაციის მეთაური მოჰამედ აიუბ ჰური. იგი ამბობს:

— ნება მიბოძეთ ჩემი სახელით და დელეგაციის ყველა წევრის სახელით გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ მხურვალე, გულითადი მიღებისათვის.

ჩვენ მადლობელი ვართ საბჭოთა მთავრობისა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მოგვცა, ჩამოვსულიყავით საბჭოთა კავშირსა და თქვენს რესპუბლიკაში. ჩვენ ჩამოვედით კეთილი ნების მისიით. სადაც უნდა მივსულიყავით, ყველგან ვხვდებოდით განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას, ყველა პირობა გვქონდა გავცნობოდით საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა დარგს.

პაკისტანელი ხალხი ისწრაფვის დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა, განამტკიცოს თანამშრომლობა ყველა ხალხთან განსაკუთრებით საბჭოთა ხალხთან. ჩვენ სულითა და გულით გვსურს მშვიდობა, გვსურს, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ მიაღწიოს ისეთსავე აყვავებას, როგორსაც თქვენმა ქვეყანამ მიაღწია. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო პაკისტანის პარლამენტის დელეგაცია

გუშინ, 28 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ მიიღო პაკისტანის ეროვნული კრების დელეგაცია მოჰამედ აიუბ ჰუროს მეთაურობით.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პრესის წარმომადგენლები.

გამართულ საუბარში მ. დ. ჩუბინიძემ პაკისტანის პარლამენტის დეპუტატებს უამბო საქართველოს სსრ სახელმწიფო წყობილებაზე, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე. დელეგაციის წევრებმა მისცეს ბევრი კითხვა, რომლებიც შეეხებოდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენებას, მრეწველობის მუშაობას, სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციას, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

საუბრის დასასრულს ბ-ნმა მოჰამედ აიუბ ჰურომ მადლობა გადაიხადა დელეგაციისადმი აღმოჩენილი ყურადღებისათვის. (საქდესი).

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი კრება თბილისში

გუშინ, 28 ივლისს, თბილისში ოფიცერთა საოლქო სახლის საზაფხულო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო საზეიმო კრება.

სადღესასწაულოდ მორთულ თეატრში შეიკრიბნენ საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ეპიტაშვილმა.

მოხსენება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა პოდპოლკოვნიკმა ამხ. ა. მარკოვმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვან ისტორიაზე, სამხედრო მეზღვაურების უკვდავ გმირობაზე დიდი სამამულო ომის წლებში. — საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების საგუშაგოზე, — თქვა მან, — სსრ კავშირის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად დგას ჩვენი მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტიც.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

განაკში—პიონერებთან

დილის ნიავი ნაძვების ხეიანში რომ გაიშრიალებს, სწორედ ისეთი ხმა ისმის ოთახში. ტაბლად უგდებს ყურს ამ შარიშურს პატარა მეაბრეშუმე, უყარლის საშუალო სკოლის მოსწავლე მედეა წიწრაშვილი. აბრეშუმის ჭიები მადიანად შეექცევიან თუთის მწვანე ფოთოლს. ერთმა მათგანმა თავი ვერ შეიმაგრა და იატაკზე დაეცა.

მედეამ ჭია კვლავ ჩელტზე დასვა, ერთი მუჭა მწვანე ფოთოლი დაუყარა და კარგა ხანს ტკბებოდა იმის ცქერით, თუ როგორ ხარბად შეექცეოდა ჭია საკვებს.

მედეა წიწრაშვილს საგზური უფლებას აძლევდა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქვეშხეთის პიონერთა ბანაკში ოცი დღით დაესვენა.

ოცი დღე!.. ეს არც ისე დიდი დროა, რომ ჩვეულებრივი მოვლის პირობებში აბრეშუმის ჭიამ მოასწროს პირველი ხარისხის პარკის აბვევა. მაგრამ... შეუპოვარნი არიან ნორჩი ნატურალისტები. ისინი მუდამ ახალს ეძებენ, არ ეშინიათ დაბრკოლების, თუ დასახული მიზანი სწორია და საჭარგებლო.

და ამგვერადაც, როცა ყვარლის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მედეა წიწრაშვილმა და ელიზა ელიზარაშვილმა, თბილისის მე-10 და 68-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დავით ფირცხალავამ და ოთარ ნერგაძემ პიონერთა ბანაკში აბრეშუმის ჭია მიყვანეს, უკვე მოფიქრებული ჰქონდათ, თუ რა უნდა ეფიქრათ იმისათვის, რომ ოც დღეში აბრეშუმის ჭიას დაეწყო მაღალი ხარისხის პარკის აბვევა.

ნორჩი ნატურალისტების პირველი ღონისძიება იყო შესაფერი ბინის შერჩევა. შემდეგ, ჩელტების ისე განლაგება, რომ ჭიებს მზე და ჰაერი უხვად ჰქონოდათ.

მეთვრამეტე დღეს აბრეშუმის ჭიებმა მწვანე ფოთლებს ზურგი შეაქციეს და მასობრივად იბრუნეს პირი ჩელტებზე დაწყობილი ქამნიას ტოტებისაკენ, დაიწყეს პარკის აბვევა.

ახლა ნორჩი ნატურალისტები მოუთმენლად ელიან როდის გამოირღვევა ვერცხლისფერი პარკის სარკმელი და გამოვა სათუთფრთიბინი პეპელა, რომ მეორე მოსავლისათვის მაღალხარისხოვანი თესლი დაგროვონ.

პიონერთა ბანაკის ფოტომოყვარულთა წრემ სურათები გადაუღო ნორჩ ნატურალისტებს. მზადდება მშვენიერი ალბომი „ჩვენი მეაბრეშუმეები“.

— კვირას ექსკურსიას ვაწყობთ სურამში, უნდა ვნახოთ დიდი უკრაინული მწერლის ლესია უკრაინკას ძეგლი, — გვესაუბრება ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ლეილა ტყემალაძე. სურამში ადრეც იყვნენ ისინი. მაშინ ტურისტული ლაშქრობა ჰქონდათ. ფეხით გაიარეს რამდენიმე კილომეტრი, გაეცნენ სურამის მიდამოების ბუნებას, საინტერესო მცენარეები და მწერები შეაგროვეს.

ქვეშხეთში საქართველოს საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი სახლია. აქ იმყოფებიან და ახალ ნაწარმოებებს წერენ როგორც საქართველოს, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული მწერლები. ქვეშხეთის პიონერთა ბანაკებს მათთან ცხოველი ურთიერთობა აქვთ, შეხვედრებს უწყობენ.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქვეშხეთის პიონერთა ბანაკის ლიტერატურული წრეს განზრახული აქვს ამ დღეებში შეხვედრები მოუწყოს ქართველ მწერლებს ლ. ქიაჩელს, პ. ინგოროყვას, მოძმე აზერბაიჯანელი ლიტერატურის ცნობილ მოღვაწეს მ. ფარაფილს.

საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქვეშხეთის პიონერთა ბანაკი ერთდროულად 196 ბავშვს ემსახურება. ბავშვთათვის სახელმწიფოს ყველაფერი აქვს გათვალისწინებული — ჯანსაღი ბინა და კარგი კვება, გართობა და მკურნალობა, მხატვრული თვითმოქმედება და ფიზიკური წრთობა.

ბანაკის ბიბლიოთეკაში რუსულ ენაზე ომამდე გამოცემული პატარა წიგნი მოგვაწოდა ერთმა პიონერმა. მასში აღწერილია, თუ როგორ ცხოვრობენ და ისვენებენ ბავშვები პიონერთა დიდ ბანაკში — არტეკში. წიგნის ერთ-ერთ გვერდზე დოლორეს იბარურის შვილის ამაიასა და ქართველი პიონერის ბაბულია თუშაბრამიშვილის პორტრეტია. ორივეს ყელზე პიონერის ყელსახვევი უკეთია.

— დედა ბაბილინა ახლა ჩვენი ექიმია, — გვეუბნება რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე დარეჯან ქვლივიძე.

ექიმი ამ დროს ბანაკში ახალმოსული პიონერის ჯანმრთელობას ამოწმებდა. ჩასკვნილი, ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა მორცხვად იძლეოდა პასუხს, ეტყობოდა ბანაკში პირველად იყო.

ბაბილინამ მიუალერსა, მხარზე ხელი დაადო. — უფრო დაირცხვინა ბავშვმა, ფართო, გიშერივით შავი თვალები ძირს დახარა.

— ჩემო რევაზ, ჭიდაობა იცი? — გაეცინა ექიმი.

ბავშვმა გაიღიმა.

— დუშეთიდან ხარ? მჭადიჯვრიდან? ჰო, მაშინ არ შევმცდარვარ... ახლა კი გაფრინდი ამხანაგებთან... ზარის ხმა ისმის, სადილად გიხმობენ.

ვინ მოთვლის რამდენჯერ უთქვამთ ასეთი ტაბლი სიტყვა თვითონ ბაბილინასთვის, როცა იგი პიონერი იყო. მან საკუთარი გამოცდილებით იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის პირველ შთაბეჭდილებას ბანაკში, გულთბილ შეხვედრას, რომელსაც ხელმძღვანელები პიონერებს უწყობენ, ტკბილ სიტყვებს, რომლებითაც ისინი ბავშვებს მიმართავენ.

...კიდევ დაირეკა ზარი.

წუნარი საათია. ბავშვები დასაძინებლად წავიდნენ. ბანაკის მწვანით დაფარულ ეზოში პიონერთა ერიამული შეწყდა, ისინი ტაბლ ძილს მიეცნენ.

ამ ტაბლ ძილს, ნორჩი თაობის სიცოცხლესა და მომავალს დიდი მზრუნველი ჰყავს — დედა სამშობლო, საყვარელი კომუნისტური პარტია.

გ. თათარიშვილი.

* * *

სურათზე: მწერლები თავისუფალ დროს თავიანთ უახლოეს გეგმებზე საუბრობენ საქართველოს ლიტერატურული ფონდის ქვეშხეთის შემოქმედებითი სახლის ეზოში.

ფოტო გ. დვალიშვილისა (კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ქვეშხეთის პიონერთა ბანაკის ფოტოწრის წევრი).

ფართოვდება სავაჭრო ქსელი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიკოოპკავშირის გამგეობამ სოფლებში ჭაქვინჯში, ინგირსა და ოქტომბერში გახსნა სამი ახალი სასადილო. ცაიშსა და კორცხელში მიმდინარეობს მაღაზიების შენებლობა, რაზეც ნახევარი მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯება.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის II კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა რაიკავშირმა 108,4 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით სოფლის მშრომელებს მიეყიდათ 1.541 ათასი მანეთის სასურსათო და სამრეწველო საქონელი.

სოფლის მოსახლეობა დიდი რაოდენობით ყიდულობს მალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ავეჯს, საწოლებს და სხვ. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა რადიომიმღებებზე, პიანინოებზე, ველოსიპედებსა და სხვა კულტსაქონელზე.

რაიკოოპკავშირის მუშაკებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება III კვარტალის საქონელბრუნვის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის. ზუგდიდის რაიკავშირის მუშაკებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მახარაძის რაიკოოპკავშირის მუშაკები.

აყვავდა მაგნოლია

ბათუმი, 25 ივლისი. (საქდესი). ბათუმის პარკებსა და ქუჩებში მაგნოლია აყვავდა. მაღალი მუქმწვანე-ფოთლიანი ხეები დაფარულია დიდი თეთრი ყვავილებით, რომლებსაც ძლიერი, ლიმონისმაგვარი სუნი აქვთ.

მაგნოლია რელიქტულ მცენარეებს ეკუთვნის. შორეულ წარსულში იგი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ დედამიწაზე, ახლა კი ჩვენში ხარობს მხოლოდ ყირიმში და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე.

მაგნოლიას მარტო დეკორაციულ მებაღეობაში როდი იყენებენ. სამკურნალო და არომატულ მცენარეთა საკავშირო ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურმა საცდელმა სადგურმა ქობულეთში შეიმუშავა მაგნოლიის ფოთლებიდან პრეპარატის მიღების მეთოდი. ამ პრეპარატს ხმარობენ ჰიპერტონიით დაავადების დროს. სადგურის ლაბორატორიაში დაიწყო მაგნოლიის პრეპარატის წარმოება.

ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი

ალმა-ატა, 27 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. შეიკრიბნენ ყაზახეთის 16-ვე ოლქის წარმომადგენლები — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოწინაველები, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მექანიზატორები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები, სპეციალისტები, მეცნიერები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ი. ბელაევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩი, სსრ კავშირის მინისტრები ამხ. ი. ა. ბენედიქტოვი, ლ. რ. კორნეიცი, გ. ს. ხლამოვი.

თათბირი გახსნა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ი. ეურინმა. დღის წესრიგშია საკითხი—რესპუბლიკის კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების ამოცანები მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარებაში.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ყაზახეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. გ. ა. მელნიკს.

— ყაზახეთის კოლმეურნეობებში, — აღნიშნავს იგი, — ნათესი ფართობები უკანასკნელ ორ წელიწადში გადიდდა 8.264 ათასი ჰექტარით და ახლა შეადგენს 16 მილიონ ჰექტარს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებს შესაძლებლობა აქვთ ჩაბარონ და მიჰყიდონ სახელმწიფოს 440 მილიონი ფუთი პური—გეგმით გათვალისწინებულზე ერთი ორად მეტი. ყაზახეთელები იღებენ ციმბირელთა გამოწვევას და ჩაებმებიან შეჯიბრებაში მათთან, რათა მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარონ ერთი მილიარდი ფუთი მარცვლეული.

შემდეგ ნოხსენება გააკეთა რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა ამხ. მ. გ. როგინეცმა.

— ახალი მიწების ათვისება შესაძლებლობას აძლევს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებს უკვე წელს გადააჭარბონ მარცვლეულის წარმოების დონეს, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დადგენილია 1960 წლისათვის. საბჭოთა მეურნეობებმა ყამირის ათვისებით ნათესი ფართობი გადიდეს 11,3 მილიონ ჰექტარამდე. ეს შვიდჯერ აღემატება 1953 წლის ნათეს ფართობს. ბევრმა მეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 100-120 ფუთი მარცვალი. ყაზახეთის საბჭოთა მეურნეობებმა დასახეს ჩაბარონ სახელმწიფოს 560 მილიონი ფუთი მარცვალი—თითქმის 200 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე დასახულია გეგმით. ისინი იღებენ ციმბირელთა გამოწვევას და კოლმეურნეობებთან ერთად შეძლებენ ჩაბარონ სახელმწიფოს მილიარდი ფუთი პური.

ტრიბუნაზეა მესამე მომხსენებელი—ყაზახეთის სსრ პურის პროდუქტების მინისტრის ნოადგილე ამხ. ა. ს. სალახუტდინოვი.

— რესპუბლიკის დამამზადებელი პუნქტები, — ამბობს იგი, — ოთხჯერ და უფრო მეტ პურს მიიღებენ, ვიდრე ყველაზე მოსავლიან 1954 წელს. უკანასკნელ ორ წელიწადში ყაზახეთის მარცვალსაცავების ტევადობა ერთისამად გადიდდა. საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ 2.400 ათასი ტონა ტევადობის მარცვალსაწყობები.

კამათში პირველი გამოვიდა პარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. პ. ხრამკოვი. იგი ლაპარაკობს სერიოზულ წარმატებებზე, რომლებიც ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მოიპოვეს. აქ გატეხილია ოთხი მილიონი ჰექტარი ყამირი — ხუთასი ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

— ციმბირელებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ჩვენი რესპუბლიკა,—ამბობს ორატორი. — კუსტანაელები ამ გამოწვევას იღებენ და ვალდებულებას კისრულობენ ჩაბარონ და მიჰყიდონ სახელმწიფოს მეოთხედი მილიარდი ფუთი პური.

პარტიის აკმოლინსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მ. ბოროდინმა განაცხადა, რომ აკმოლინსკელები ახლა სახელმწიფოს ჩაბარებენ და მიჰყიდიან სულ ცოტა 175 მილიონ ფუთ პურს, და შეჯიბრებაში იწვევენ კრასნოიარსკის მხარეს.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაზე ჩამოსული ახალგაზრდობის გმირული შრომის შესახებ ილაპარაკა პარტიის კუსტანაის ოლქის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ა. პერმიაკოვმა.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პარტიის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. პაპადკომ, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „ჟელეზნოდოროჟნის“ დირექტორმა ამხ. ზ. ფრანკმა, პარტიის სამხრეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. იუსუპოვმა, ალმა-ატის ოლქის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. კ. რისპეკოვმა, კოყჩეტავის ოლქის ჩრდილოეთის მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ხ. ჯენნა და სხვებმა.

ბოლო მოვუღოთ უდარდელობას მოსავლის აღების საქმეში, გავაძლიეროთ ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ

ახლა ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი

საველე კალოებზე დიდი გამოცოცხლებაა. რაიონში კომბაინების აგრეგატთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას კასპის მტს-ის კომბაინერ მ. გოქოშვილის აგრეგატის კოლექტივმა გაუსწრო. მას მიკუთვნებული აქვს რაისაბჭოს და პარტიის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა. კომბაინერი წარმატებას იმით აღწევს, რომ მისი აგრეგატი მოსავალს ღამითაც მკის. ასევე ითქმის თეძამის მტს-ის კომბაინერ ა. ახალკაცზე. მაგრამ რაიონში ერთეულია შემთხვევები, როცა მოსავლის აღება ღამითაც მიმდინარეობს.

რატომ არ მუშაობენ კომბაინები ღამით?

იმ დღეს თეძამის მტს-ის თითქმის ყველა კომბაინი ვნახეთ. ველიდან ველზე მთელ დღეს განუწყვეტლივ ისმოდა მათი მუშაობის ხმაური. მაგრამ აი დაღამდა, ჩამობნელდა, და კომბაინთა გუგუნიც მინელდა. მუშაობდა მხოლოდ მტს-ის მეხუთე კომბაინის აგრეგატი (ხელმძღვანელი ა. ახალკაცი).

რატომ გაჩერდნენ სხვა კომბაინები?

იმიტომ, რომ ნაწილს ღამით მუშაობისათვის მოწყობილი არ ჰქონდა ელექტროგანათება, მეორე ნაწილი კი უზრუნველყოფილი არ იყო ორცვლიანი მუშაობისათვის საჭირო მუშახელით.

სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალს იღებს მტს-ის პირველი კომბაინის აგრეგატი (ხელმძღვანელი ს. ზარიძე). ზარიძე ცუდი კომბაინერი როდია. დღისით სისტემატურად ასრულებს მკის დავალებებს. მაგრამ ღამით ვერ მუშაობს, რადგან კომბაინზე ღამით მუშაობისათვის მოწყობილი არ არის ელექტროგანათება და არც აგრეგატია დაკომპლექტებული ორცვლიანი მუშაობისათვის.

იყო ასეთი ფაქტიც. ერთ დღეს სოფელ დოესის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში თვითმავალი კომბაინის კომბაინერი ი. მახარაძე მორჩა მეორე ბრიგადის ნაკვეთში მოსავლის აღებას და მემინდვრეობის მესამე ბრიგადის (ბრიგადირი ი. ხორბალაძე) პურის ყანაში გადავიდა სამუშაოდ. კომბაინერმა დაბინდებამდე იმუშავა, სანამ მეორე ბრიგადის კოლმეურნეები შინ წავიდოდნენ. რადგან მესამე ბრიგადიდან კომბაინზე სამუშაოდ არავინ მოვიდა, კომბაინი მოცდა ღამით მუშაობას.

ზემოთ დასახელებული ფაქტები იმაზე ლაპარაკობენ, რომ თეძამის მტს-ი (დირექტორი ამხ. დ. სილაგაძე) და მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა გამგეობების დიდი ნაწილი არ აფასებენ კომბაინების ღამით მუშაობის დიდ მნიშვნელობას. მტს-ის ზონაში პარტიის კასპის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი (მდივანი ამხ. ე. თარხნიშვილი)

კი ითმენს ამ მდგომარეობას, არ იღებს გადამჭრელ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, სუსტად ეწევა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის ორგანიზატორულ მუშაობას მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

არის სხვა სახის ნაკლოვანებანიც. კომბაინერთა შორის სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ფორმალიზმია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს ნათელყო სოფელ ყარაღაჯის პურის ყანებში მომუშავე კომბაინერ ნიკოლოზ ლეონიძესთან საუბარმა.

— მკის გეგმებს გადამეტებით ვასრულებ, დაუღალავად ვმრომობ, — განაცხადა მან, — ამასთან მინდა ვეცნობოდე ჩვენი ქვეყნის წარმატებებსა და საერთაშორისო ამბებს. ერთ კვირაზე მეტია ჩვენი კომბაინის აგრეგატის კოლექტივთან აგიტსაუბარი აღარავის ჩაუტარებია. ან ავიღოთ სოციალისტური შეჯიბრების საკითხი. ერთმანეთს ვეჯიბრებით მე და კომბაინერი ესტატე ელისაბედაშვილი. ახლა ის მგონი სოფელ ახალქალაქის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მაგრამ არავინ მაგებინებს როგორ მუშაობს ჩემი „მეტოქე“. მასაც ალბათ ასევე აინტერესებს გაიგოს რას ვაკეთებ მე. რა ფასი აქვს ასეთ შეჯიბრებას?

მსგავსი ნაკლოვანებები კასპისა და სამთავისის მტს-ებშიც არის.

დანაკარგების წინააღმდეგ ცუდად იბრძვიან

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ცუდად არის მოწყობილი დანაკარგებთან ბრძოლა. სოფელ მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინს უკან არ მისდევენ თავთავების აკრეფები. აქ მოსავალი აღებულია ასზე მეტ ჰექტარ ფართობზე, მაგრამ თავთავები სანახევროდაც არ არის აკრეფილი. უფრო მეტიც, სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში არც ერთ ჰექტარზე არ იყო აკრეფილი თავთავები. აქ სხვა ფაქტიც ვნახეთ: თეძამის მტს-ის თვითმავალი კომბაინი (კომბაინერი ა. ნავროზაშვილი), რომელიც კოლმეურნეობის 54-ჰექტარიან ნაკვეთში მუშაობდა, ნამჯას მნიშვნელოვანი რაოდენობით აყოლებდა გაულეწავ თავთავს.

სოფელ დოესის კოლმეურნეობის პირველი, მეორე და მეოთხე ბრიგადების „ნამგალას“ მიწებში ტრაქტორისტი გ. სამხარაძე „კდ-35“ მარკის ტრაქტორით თავთავებაუკრეფავ ნაკვეთს ოშავდა თეფშებიანი ფარცხით და თავთავებს მიწაში ხნავდა. ამას უყურებდა მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი გ. ოხანაშვილი და ზომებს არ იღებდა დანაკარგის აღსაკვეთად.

თუ ვიანგარიშებთ, რომ აღნიშნული „ნამგალას“ მიწების 21-ჰექტარიანი ნაკვეთის თვითეულ კვადრატულ მეტრ ფართობზე დატოვებული იყო 6-7 თავთავი, გამოდის, რომ კოლმეურნეობა თვითეულ ჰექტარზე კარგავს 3 ფუთზე მეტ მარცვალს, სულ კი ამ ნაკვეთზე — 60 ფუთზე მეტს.

საჭიროა კასპის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გააძლიერონ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის ორგანიზატორული მუშაობა, უზრუნველყონ კომბაინების სრული დატვირთვით გამოყენება დღისითაც და ღამითაც, არ დაუშვან პურეულის დანაკარგები.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ღამის სანატორიუმი



ფოტო შ. ჩხეტიანისა.

წიწვიანი და ფოთლოვანი ხეებით, ასფალტნაგები ბილიკებით, საცურავი აუზით და მრავალი კორპუსით დამშვენებული ტერიტორია ერთი შეხედვით ნამდვილ სანატორიუმს მოგაგონებთ. ქალაქის ქუჩების ხმაურს დაშორებული მყუდრო ეზოს იქით მძლავრად სცემს ინდუსტრიის მაჯა. ეზოს მთელ სიგრძეზე გაჭიმულ უზარმაზარ მთავარ კორპუსში ათასობით ადამიანი შრომობს.

ეს არის თბილისის სართავ.-ხატრიკოტაჟო კომბინატი, რომლის კოლექტივი იბრძვის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის დავალების პირნათლად შესრულებისათვის.

კომბინატის ხელმძღვანელობა — დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საწარმოო დავალებათა განაღდებასთან ერთად იმისთვისაც იბრძვიან, რომ მუშებს საუკეთესო პირობები შეუქმნან, მათ კულტურული და საინტერესო დასვენება მოუწყონ, ზრუნავენ მუშების ჯანმრთელობისათვის. ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება კომბინატში. აქ დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობს ეგრეთწოდებული ღამის სანატორიუმი (პროფილაქტორიუმი).

ქარხნის ეზოში სხვა შენობებს შორის დგას ერთი შესანიშნავი კორპუსი, სადაც მეორე სართულზე გამოყოფილია სუფთა, ნათელი ოთახები ღამის სანატორიუმისათვის. აქ არის ექიმის კაბინეტი, საძინებელი ოთახები, დასვენების ოთახი ეურნალ-გაზეთებით, მრავალნაირი სათამაშოებით, რადიოლით... დამსვენებლებს მზრუნველობით თავს დასტრიალებენ ექიმი ირინე ვაინშტაინი, ექთანები, მომვლელები...

ნაუოფიერი შრომის შემდეგ აქ სანატორიული დასვენების საგზურებით მოდიან მუშები. ღამის სანატორიუმი წელიწადში 800 დამსვენებელს ემსახურება. საგზურების 20 პროცენტი უფასოდ ეძლევათ მუშებს. დამსვენებლებს ოთხჯერადი კვება აქვთ. დღეში კვების კალორაჟი 4.000-4.700-ს უდრის. დამსვენებელთა შორის არიან კომბინატის მოწინავე მუშები თამარ კოვალენკოვა, ზოია სონონოვა, მარო ბიგანიშვილი, ტატიანა სოზონოვა... ისინი საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ, სანატორიული დასვენებით გამოჯანსაღებულნი უფრო მეტი ენერგიით შრომობენ დაზგებთან. ღამის სანატორიუმიდან, კარგად დასვენების შემდეგ გაწერილი სტახანოველი მუშები ქეთო კეფაშვილი და ეფროსინე ბელსკაია ორმაგად ასრულებენ საწარმოო გეგმებს.

თვითეულ დამსვენებელს აქვს სანატორიული წიგნაკი, რომელშიც იწერება დიაგნოზი და დანიშნულებანი. ექიმის მიერ დანიშნულ სპეციალურ პროცედურებს გადიან დამსვენებლები კომბინატის კეთილმოწყობილ სამკურნალო-სამედიცინო კაბინეტებში. ზოგს ფიზკულტურაც ენიშნება. აი დამსვენებელი თამარ კოვალენკოვა, კომბინატის მოწინავე ახალგაზრდა მუშა, კომკავშირელი. ექიმის რჩევით იგი თავისუფალ დროს სპორტის ისეთ სახეობაში მეცადინეობს, როგორიც არის ცურვა. მას ხშირად ხედავენ კომბინატის საცურავ აუზში. იგი სიმაღლიდან წყალში ხტომის ოსტატობასაც დაეუფლა.

ხალისიანი, მრავალფეროვანია კომბინატის მუშების ცხოვრება და დასვენება ღამის სანატორიუმში.

* * *

დამთავრდა მუშაობა. ესენი მოვიდნენ სანატორიუმში. აი დასასვენებელი ოთახი. ზოგი ჭადრაკის თამაშს შეუდგა, ზოგიც რადიომიმღებს მიუჯდა, რომ მუსიკა მოისმინოს, ახალი ამბები გაიგოს. ერთ მათგანს ხელსაქმე აუღია და თანაც რადიოს უსმენს... (სურათი № 1).

კარგია სადილობის წინ სპორტი. აგერ საცურავი აუზიც. თამარ კოვალენკოვა სახტომ კოშკზე ასულა. მის ქვევით ლურჯად ლივლივებს აუზი. აი გადმოეშვა კოშკიდან „მერცხლურად“, აუზმაც თითქოს გული გაიხსნა, რომ მცურავი ჩაიკონოს. (სურ. № 2).

სანატორიული რეჟიმი დამთავრდა. მათ დაზგები უსმობენ. მიუხარიათ კიდევაც. ხალისით მიდიან საყვარელ საამქროებში. (სურ. № 3).

ტექსტი ვლ. დემეტრაძისა.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ტექნიკა მომცდარია, დანაკარგები დიდია

ბორჯომისაკენ მიმავალი შარაგზის მარჯვნივ გაშლილ ნახვეტარას ველის შუაგულში 105 ჰექტარი პურის ყანა სოფელ ტეზრის (ხაშურის რაიონი) კოლმეურნეობას ეკუთვნის. ბარაქიანი მოსავალი იცის ნახვეტარამ. ჩვენი კოლმეურნეობის პურის ბეღელიაო, — აღფრთოვანებით ამბობენ ამ ველზე ტეზრელი კოლმეურნეები. და აქვთ კიდეც ამის საფუძველი. კომბაინერი გ. ქალიაშვილი აქ თვითეულ ჰექტარზე 17 ცენტნერ პურს ლეწავს.

მოსავლის აღების პირველ დღეებში ზოგან სერიოზული ნაკლოვანებებიც გამოვლინდა. სოფელ ცხრამუხის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ლაცაბიძე) მექანიზატორები ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. მათ დროულად არ ამარაგებენ კვების პროდუქტებით, საწვავ-საცხებით, წყლით. მოწინავე ტრაქტორისტი ლ. რუსიშვილი აძალებული გახადეს თვითონ წასულიყო პროდუქტების მოსატანად. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ასეთი მოქმედება შეუწყნარებელია.

ცხრამუხის კოლმეურნეობაში სრულებით არ აქცევენ ყურადღებას დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. 25 ივლისს თავთავების აკრეფაზე არცერთი კოლმეურნე არ მუშაობდა, მაშინ როცა ზოგიერთ ნაკვეთში საშუალოდ კვადრატულ მეტრზე დატოვებულია 4-5 თავთავი. არის შემთხვევები, რომ ტექნიკას სრული დატვირთვით არ იყენებენ. 25 ივლისს ცხრამუხის კოლმეურნეობაში ტექნიკური უწესივრობის გამო სამი საათით მოცდა ნ. ზუბაშვილის კომბაინი.

მარცვლეულის დანაკარგებია სოფელ მიწობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე მ. ჭყონდა). მიუხედავად იმისა, რომ აქ ქერის აღება ხუთი დღეა დაამთავრეს, ნაკვეთებზე თავთავები არ აუკრეფიათ. მინდორში ვნახეთ რამდენიმე მეტრის სიგრძეზე კომბაინის ბუნკერიდან დაბნეული მარცვალიც. სოფლის პირას მდებარე ფართობში ცუდი რელიეფის გამო ბევრი თავთავი კომბაინის მიერ აუღებელია, მაგრამ მისი ამომკა არ წარმოებს. კოლმეურნეობა აქაანურებს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას.

მოსავლის აღების დღეებში სათანადო ოპერატიულობას ვერ იჩენს ხაშურის მტს-ი. მტს-ის მიზეზით დღემდე გაჭიანურდა ტეზრის კოლმეურნეობის მექანიზებულ კალზე მარცვალსაწმენდი მანქანების ამუშავება, ამის გამო პურის გაწმენდა ნაწილობრივ ცხრილით წარმოებს. ეს აბრკოლებს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას.

ახლა ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღებულია მოსავლის აღება. რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ მკისა და პურის ჩაბარების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორი ფაბრიკის მუშაკთა შეხვედრა მწერლებთან

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში მაუდისა და სამკერვალო ფაბრიკების მუშამოსამსახურეებმა ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში შეხვედრა მოუწყეს ქუთაისში მომუშავე მწერლებს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სამკერვალო ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. ლაფერაძემ.

მოხსენება თემაზე „ქუთაისში მომუშავე მწერლების შემოქმედება“ წაიკითხა კრიტიკოსმა მ. ტუსკიამ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მაუდის ფაბრიკის მოწინავე მუშა დ. მოდებაძე და სამკერვალო ფაბრიკის წარჩინებული მკერავი ნ. გელენიძე.

შეხვედრაზე თავიანთი ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა გ. სამხარაძემ, ა. გურჯიძემ, მ. კაკიტელაშვილმა, ლ. ნუცუბიძემ, დ. ხუროძემ, ს. აბდალაძემ და სხვ.

დასასრულ ვ. აბაშიძის სახელობის საქალაქო კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა გამართა კონცერტი.

შესანიშნავი მხატვარი და მოქალაქე

ბევრი კარგი ქართველი მხატვარი აღზრდილა რუსეთის მიწა-წყალზე. უმეტესობა ცოდნითა და განათლებით აღჭურვილი სამშობლოს უბრუნდებოდა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეჰქონდა. ზოგნი საცხოვრებლად რუსეთშივე რჩებოდნენ, ერწყვოდნენ რუსულ კულტურას, ამავე დროს სამშობლოსთან კავშირს ინარჩუნებდნენ და ქართულ ხელოვნებაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ. საკმარისია გავიხსენოთ ივ. გუგუნავა, ალ. შერვაშიძე და სხვ. ივ. გუგუნავამ მთელი თავისი შემოქმედება ყველა ქართველ მხატვარზე ადრე მიუძღვნა პეიზაჟს, როგორც დამოუკიდებელ ჟანრს. იგი XIX საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული რუსეთის ფართო მაყურებლის წინაშე სისტემატურად ფენდა სურათებს საქართველოს ბუნების სილამაზის თემაზე.

ქართველ შემოქმედებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სამშობლოსთან კავშირი ვერ მოუხერხდათ, მაგრამ თავისი ხალხი ასახელეს რუსული კულტურის წინაშე დამსახურებით. ერთ-ერთი მათგანი იყო ალექსანდრე ბუჩუკური, რომელიც რუსეთის ხელოვანთა შორის საპატიო სახელით სარგებლობს. იგი ქართველი მკითხველისათვის დღემდე უცნობი იყო. ალ. ბუჩუკური რუსული კულტურის ისტორიაში შესულია როგორც რეპინის ნიჭიერი მოწაფე, ვორონეჟის ოლქის ყველაზე დიდი მხატვარი და საბჭოთა მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დღემდე ხელოვნების ლიტერატურაში ალ. ბუჩუკური ეროვნების ბერძენადაა მიჩნეული, რაც სრული გაუგებრობაა.

ალექსანდრე ბუჩუკური დაიბადა 1870 წელს ვაჭრის ალექსი ბუჩუკურის ოჯახში. მხატვრის მამა ალექსი თურქეთის ქვეშევრდომი იყო. იგი თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილ ქართველებს ეკუთვნოდა. მას, უთუოდ, ისევე როგორც მის ბედში მყოფი ქართველების უმრავლესობას, მშობლიური ჩვევები და მით უფრო ენა დავიწყებული არ ჰქონდა. მხატვრის დაბადების დროისათვის ალექსი ბუჩუკური ქალაქ ტაგანროგში ვაჭრობდა. როგორც ჩანს, მომავალი მხატვარი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როდესაც მამა მოუკვდა. ყოველშემთხვევაში იგი 7 წლის უკვე მამინაცვლის ხელში იზრდებოდა. ალექსანდრე 14 წლისა იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად ვორონეჟში გადასახლდა. ამ დროიდან ბუჩუკურის ცხოვრება მთლიანად ვორონეჟის მხარეს დაუკავშირდა. მას წილად ხვდა ისეთივე როლის შესრულება ვორონეჟის მხატვრობაში, როგორიც გიგო გაბაშვილსა და მოსე თოიძეს ქართულში. ვორონეჟელები მას თავიანთ უხუცეს და უდიდეს მხატვრად იხსენიებენ და დიდად აფასებენ. ა. ბუჩუკურს სახელმწიფოს ხარჯზე საგანგებო სახელოსნო სხვა მხატვრებზე ადრე აუშენეს, უზრუნველყვეს პერსონალური პენსიითა და ყველა საჭირო პირობით. ვორონეჟის საბჭოთა მხატვრობის პირველ საოლქო გამოფენაზე ალექსანდრე ბუჩუკურმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო და თავისი ოლქის მშრომელები ასახელა. მრავალი წლის განმავლობაში ვორონეჟში არცერთი სურათი არ გამოიფენებოდა ისე თუ მასზე ალექსანდრე ბუჩუკურის დასტური არ იქნებოდა. იგი სიკვდილამდე ვორონეჟის ოლქის მხატვრების გამოფენათა ჟიურის შეუცვლელი თავმჯდომარე იყო.

ოჯახური პორტრეტი.
ნახატი ა. ბუჩუკურისა.

პირველდაწყებითი სამხატვრო განათლება ალექსანდრე ბუჩუკურმა თვით ვორონეჟში მიიღო. იგი ჯერ კერძოდ მეცადინეობდა მხატვარ ლ. სოლოვიოვის სახელოსნოში, შემდეგ კი ადგილობრივ „სამხატვრო სკოლაში“. მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეის პირველად დათვალიერებამ მას მტკიცედ გადაწყვეტინა რეპინის მოწაფე გამხდარიყო. მართლაც 1899 წლიდან ბუჩუკური პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაშია და რეპინის სახელოსნოში მეცადინეობს. ბუჩუკურის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ იგი აკადემიაში წარმატებით სწავლობდა. აკადემიის საბჭოს მისთვის სამჯერ გამოუცხადებია ქება. ერთხელაც, ჩინებულად შესრულებული ესკიზისათვის I პრემია მიუნიჭებიათ.

შემდეგში, უკვე ღრმად მოხუცებული ილია რეპინი თავისი ყოფილი მოწაფის მოღვაწეობით ამაყობდა. 1927 წელს რეპინი ფინეთიდან, სადაც იგი მოხუცებულობაში საკუთარ აგარაკზე ცხოვრობდა, ვორონეჟის მხატვრებმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს სწერდა: „აქ ვიბორგთან ახლოს ივანე ივანეს-ძე ტოლსტოის მამულში ბუჩუკურის რამდენიმე მშვენიერი ნაწარმოებია გამოფენილი. იგი ჩინებული მხატვარია, მე ვამაყობ ჩემი ასეთი ყოფილი მოწაფით“. (ჟურნ. „ისკუსტვო“, 1938, № 2).

ნიჭიერ შემოქმედს, ცენტრალურ ქალაქებში მოღვაწეობით ადვილად შეეძლო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების დამსახურება და მოდური მხატვრად გახდომა, მაგრამ ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ბუჩუკურმა ქალაქში ცხოვრებას სოფელი არჩია, თითქოს საგანგებოდ რუსეთში მთიანი ადგილი გამოძებნა და თავისი საუკეთესო წლები ვორონეჟიდან 8 კილომეტრის მანძილზე მთაზე გაშენებულ სოფელ პოდგორნოეში გაატარა.

პოდგორნოეს პერიოდი ბუჩუკურის შემოქმედებაში ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად ითვლება. იქ მან უამრავი საყურადღებო ნაწარმოები შექმნა, რომლებზეც ასახულია მეზობლები, ახლობლები, პოდგორნოელი გლეხები და იქაური მიდამოები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ა. ბუჩუკურის ოჯახის წევრთა მცირე ზომის პორტრეტები. ყველა ისინი მხატვარს „პირადი სიამოვნებისათვის“ შეუქმნია. ისინი უნაზესი სითბოთი, გულითადობითა და ლირიზმით გამოირჩევიან. ამ სერიიდან საყურადღებოა მხატვრის მეუღლის ე. ეპიფანოვას არაერთი პორტრეტი.

პოდგორნოეში ა. ბუჩუკურმა იმ დიდტანიანი სურათების დიდძალი მოსამზადებელი ეტიუდები და ესკიზები შექმნა, რომელთა განხორციელება მას ყმაწვილკაცობაშივე სწყუროდა, მაგრამ მხოლოდ გვიან მოუხერხდა. მისი მოზრდილი თემატიკური ტილოებიდან დასასახელებელია „მიცვალებულის დაკრძალვა სოფლად“, „მრეცხავები“, „ხატობა“, და „Вывод“. უკანასკნელზე წარმოდგენილია რუსეთში ძველად, მოღალატე ცოლის დასჯის წესი. ცხენის ურემზე, ცხენის გვერდით, შიშველი, უზომოდ დარცხვენილი ქალი მიუბამთ, რომელსაც მთელი სოფელი მოსდევს ყიჟინით. სურათი აოცებთ ტიპაჟის მრავალფეროვნებით, ფსიქოლოგიური გადაწყვეტის მკაფიობით, მოძრავი მასების მაღალოსტატური განლაგებით, რუსული სოფლის ცხოვრების შესანიშნავი ცოდნითა და ფერწერის ბრწყინვალე ოსტატობით.

30-იანი წლების დასაწყისში მხატვარმა განახორციელა ადრე ჩანაფიქრი დიდი სურათი, რომელზეც ნეკრასოვის პოემის ერთი მომენტია წარმოდგენილი — თავადების საუზმე მინდორში („Кому на Руси жить хорошо“-ს თემაზე). ეს ბუჩუკურის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. XIX საუკუნის რუსული რეალისტური მხატვრობის ტრადიციათა გამგრძელებელი მხატვარი, ხმიერსა და ნათელი სოციალური მიზანდასახულობის სურათებს სულ ადვილად და შნოიანად აგებდა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ა. ბუჩუკური გასული საუკუნის „იდეური რეალიზმის“ საუკეთესო მონაპოვრების დაცვასთან ერთად მოხერხებულად იყენებდა იმ მიღწევებსაც, რაც ჩვენი საუკუნის უღელტეხილზე პეტერბურგელი მხატვრებიდან: სეროვს, ლანსერეს, გრაბარსა და სხვა მოწინავე შემოქმედებს ჰქონდათ კოლორიტის გამდიდრებისა და ჰაერისა და სინათლის მკაფიოდ გადმოცემის საქმეში. მას იზიდავდა საგანთა ფართო ხედვა და თამამი, ვირტუოზული და ფართოდ წერის მანერა ცნობილი შვედი მხატვრის ცორნისა და შემდეგში თვითონაც ხშირად ამ ყაიდაზე მუშაობდა. ამის ერთ ნათელ მაგალითს კომპოზიცია „დილის ტუალეტი“ (1934 წ.) წარმოადგენს. მასზე მობანავეთა წყლით დასველებული და მზის ანარეკლებით აფერადებული შიშველი სხეულები იშვიათი ოსტატობითაა გამოხატული.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ბუჩუკური ერთნაირი ძალით ფლობდა ზეთის, პასტელისა და გუაშის ფერებით ხატვას.

თემატიკისა და ტექნიკის მრავალმხრივობა, ფართო დიაპაზონი და საერთოდ ა. ბუჩუკურის უაღრესად ნიჭიერი და ნაყოფიერი შემოქმედება შერწყმული იყო მის თავმდაბალ მოქალაქეობრივ თვისებებთან და თავდადებულ პედაგოგურ საზოგადოებრივ საქმიანობასთან. მთელი ამ ნათელი მოღვაწეობის გამო ალექსანდრე ბუჩუკურმა რუსეთის ფართო წრეებში სიყვარული და დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

დოცენტი ო. ფირალიშვილი.

დმანისის რაიონში

წყალსადენის მშენებლობა

რაიონის ცენტრიდან 9 კილომეტრის მანძილზე დაიწყო მიწის სამუშაოები ახალი წყალსადენის მშენებლობისათვის, რაც წელს უნდა დამთავრდეს დასასრულს უახლოვდება სათავე ნაგებობათა მშენებლობა., სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე მილებისათვის არხების გათხრა. დამთავრდა რეზერვუარის აგება. მშენებლობის დამთავრების შემდეგ რაიონის ცენტრის მოსახლეობა საუკეთესო წყაროს წყალს მიიღებს.

ბინები კირუტყვისათვის

სოფელ ჯავახის მე-17 პარტყრილობის სახელობის და კამარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში აშენდა ტიპური საძროხეები 124 სულისათვის. საძროხეებში ყველაფერი გათვალისწინებულია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. კამარლოს კოლმეურნეობა უკვე შეუდგა მექანიზაციის განხორციელებას. მიმდინარეობს ავტოსარწყულებლების დაყენება. პირუტყვის ბინები ააშენეს აგრეთვე სოფლებში დალარში, განთიადში, სარკინეთსა და გომარეთში.

საკოლმეურნეო სარწყავი არხი

სარწყავი არხის უქონლობის გამო სოფელ მაშავერას მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში სათოხნი კულტურების მეტად დაბალი მოსავალი მოჰყავდათ. წელს კოლმეურნეებმა თავიანთი ძალებით ექვსი კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანეს სარწყავი არხი. უკვე არწყავდა 50 ჰექტარი კარტოფილი, 80 ჰექტარი სიმინდი 10 ჰექტარი ვენახი, აგრეთვე ბოსტნები და ბაღჩები. გარდა ამისა, არხი არწყავს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებს.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



გუტიანში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ფუძიანის პროვინცია) მწყობრში ჩადგა ახალი ჰიდროელექტროსადგური. იგი აგებულია ჩინელი ინჟინრების პროექტით და აღჭურვილია სამმაგლო წარმოების გენერატორებით.
სურათზე: ელექტროსადგურის ჰიდროტურბინების გენერატორები.
სინხუას საგენტოს ფოტო.

★

ახალი მშენებლობა კანტონში

პეკინი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნანფანგიბაო“ იუწყება, მიმდინარე წლის აგვისტოში კანტონში დაიწყება ჩინეთის უდიდესი საკონსერვო ქარხნის, სურნელოვანი ზეთების ფაბრიკის, ქიმიური სასუქის ქარხნის, აგრეთვე მინის ქარხნის მშენებლობა.

საკონსერვო ქარხანა დაამუშავებს ხილსა და ბოსტნეულს, რომელიც უხვად ხარობს გუანდუნის პროვინციაში. იგი გამოუშვებს 30 ათას ტონამდე სხვადასხვა კონსერვს წელიწადში.

გუანდუნის პროვინციის გლეხების სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში დიდ დახმარებას გაუწევს ქიმიური სასუქის ქარხანა. იგი აითვისებს ხეხილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სოფლის მეურნეობის მავნებელთა მოსასპობი პრეპარატის წარმოებას.

სურნელოვანი ზეთების სახელმწიფო ფაბრიკა პირველი ფაბრიკა იქნება ჩინეთში, რომელიც უმაღლესი ხარისხის სურნელოვან ზეთებს გამოუშვებს. ფორთოხლის, ვარდის, იასამნის, მაგნოლიის და სხვა მცენარეთა ყვავილებისაგან ფაბრიკა ყოველ წელს დაამზადებს 2 ტონამდე სურნელოვან ზეთს. ეს რაოდენობა საკმარისია არა მარტო ჩინეთის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გაფართოებს ამ პროდუქტის ექსპორტს საზღვარგარეთ.

კომბაინების წარმოება ბულგარეთში

სოფია. (საკდესი). ორი წლის წინათ გიორგი დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ ქალაქ რუსში დაიწყო მისაბმელი მარცვლეულის კომბაინების სერიული წარმოება. ამას წინათ ქარხნის კოლექტივმა აღნიშნა დიდი გამარჯვება — ამწყობი საამქროდან გამოვიდა მეათასე კომბაინი „დიმიტროველი-6“. წელს დაიწყო კომბაინების ექსპორტი საზღვარგარეთ. 50 კომბაინი გაიგზავნა რუმინეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ქარხნის კოლექტივმა დაიწყო აგრეთვე სიმინდის კომბაინების სერიული წარმოება.

„ჩვენ გვსურს ნამდვილად ძლიერი და დამოუკიდებელი ვიყოთ, და მივაღწევთ ამას“

პრეზიდენტ ნასერის სიტყვა ეგვიპტის რესპუბლიკის რევოლუციის მეოთხე წლისთავის დღეს

ალექსანდრია, 27 ივლისი. (საკდესი). გუშინ ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა წარმოთქვა ეგვიპტის რესპუბლიკის რევოლუციის მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს. და არაერთგზის შეაწყვეტინეს ტაშითა და მოწონების შეძახილებით.

„ჩვენ, — თქვა პრეზიდენტმა ნასერმა, — ვდღესასწაულობთ ჩვენი რევოლუციის დღეს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შეუთავარი ბრძოლის შემდეგ იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, იმპერიალიზმისა, რომელიც დიდხანს ბატონობდა ჩვენზე. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც რევოლუცია მოვახდინეთ, ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ საკუთარი თავის, ჩვენი ძალებისა და რესურსების იმედით. წინ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეა. ჩვენ გვსურს ნამდვილად ძლიერი და დამოუკიდებელი ვიყოთ, და მივაღწევთ ამას. ეგვიპტემ იცის, ვინ არის მისი მეგობარი და ვინ არის მტერი. ჩვენ იმათი მეგობრები ვიქნებით, ვისაც ჩვენი მეგობრობა სურს, მაგრამ არ ვაპატიებთ იმათ, ვისაც სურს ჩვენი მტერი იყოს“.

ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ შეიძლება ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, თუ არ იქნა მიღწეული ეკონომიური დამოუკიდებლობა. „ეგვიპტე, — თქვა მან, — იბრძვის ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის და კვლავაც ივლის ამ გზით“. ნასერმა მოიყვანა ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ წარმოების ზრდას ეგვიპტეში და ნაციონალური შემოსავლის გადიდებას. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ეგვიპტის ინდუსტრიალიზაცია.

შემდეგ ნასერმა თქვა, რომ ეგვიპტის მთავრობა ზრუნავს თავისი არმიის შეიარაღებისათვის ეგვიპტის უშიშროების განმტკიცების მიზნით. „ჩვენ, — თქვა ნასერმა, — იარაღი ვთხოვეთ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს. მაგრამ არც ერთმა და არც მეორე ქვეყანამ იარაღი ეგვიპტეს არ მისცა. შეერთებულმა შტატებმა მოითხოვეს, რომ ეგვიპტეს დაედო ხელშეკრულება უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ. ეს ნიშნავდა იმას, რომ ეგვიპტეში გამოეგზავნათ ამერიკის სამხედრო მისიები, რომლებიც თავიანთ კონტროლს დაიწესებდნენ ეგვიპტის არმიისადმი. მათ სურდათ ესოდგებლათ იმით, რომ იარაღი გვესაჭიროებოდა, რათა ვეიძულებინეთ გავმხდარიყავით მათი მონები. ჩვენ ეს უარვყავით. ჩვენ იარაღი ვიყიდეთ რუსეთისაგან რიგი პირობის დაუდებლად. წმინდა კომერციულ საფუძველზე. დასავლეთში ამის გამო დიდი ხმაური ატეხეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ეს კომუნისტური იარაღია. ჩვენ ეს განცხადებები არ გვაწუხებს. როცა იარაღი მივიღეთ, იგი ჩვენი იარაღი გახდა“.

ნასერმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება მიაქცია ასუანის რაიონში მაღალი კაშხალის მშენებლობის ეგვიპტურ პროექტს. მან თქვა, რომ კაშხალის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეგვიპტისათვის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ნასერმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმართა ეგვიპტემ სესხისათვის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, თქვა ნასერმა, ეგვიპტისათვის მიეღებელი პირობები წამოაყენეს, ხოლო შემდეგ უარი თქვეს თავიანთ წინადადებაზე მონაწილეობა მიეღოთ კაშხალის მშენებლობის დაფინანსებაში. „ეს პირობები, — თქვა პრეზიდენტმა, — ნიშნავდა ფაქტიურად უცხოეთის კონტროლის დაწესებას ეგვიპტის ფინანსების, მიეწოდებისა და ეკონომიკისადმი. ეს იყო იმპერიალისტთა ცდა დავემორჩილებინეთ პოლიტიკურად და ეკონომიურად.

1956 წლის ივნისში, — განაგრძო ნასერმა,— ეგვიპტეს ეწვია ბ-ნი შეპილოვი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა ეგვიპტის მთავრობასთან. შეპილოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის დაეხმაროს ეგვიპტეს. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევს რაიმე პირობის დაუდებლად. შეპილოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირს არ სჭირდება ეგვიპტის ნედლეული, რადგან მას საკუთარი ნედლეული აქვს. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირს არა სურს ეგვიპტე დაუპირისპიროს დასავლეთის ქვეყნებს, რადგან საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობა და კარგი ურთიერთობა ყველა ქვეყანას შორის. მე ვუთხარი შეპილოვს, რომ დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხს მოსკოვში ჩემი ჩასვლის დროს.

მეორე დღეს მეწვია საერთაშორისო ბანკის პრეზიდენტი ბლეკი და განმიცხადა, რომ ბანკი მზად არის მოგვცეს სესხი და რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები მზად არიან შეასრულონ თავიანთი დაპირება. უფრო გვიან ამერიკის მთავრობამ განაცხადა, რომ უარს ამბობს თავის წინადადებაზე“.

ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ეგვიპტეს სესხზე უარი უთხრეს პოლიტიკური მოსაზრებებით. მათ სურთ დასაჯონ ეგვიპტე იმისათვის, რომ მან უარი თქვა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე, და იმისათვის, რომ ეგვიპტე იბრძვის მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ნასერმა განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დღეიდან (26 ივლისიდან) მოახდინოს სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია, კომპანიის ფონდებისა და სახსრების ბლოკირება. კომპანიის სახსრები და სამფლობელობები გადადის ეგვიპტის მთავრობის საკუთრებაში. სუეცის არხის კომპანია ყოველწლიურად იღებს 35 მილიონ გირვანქა სტერლინგ შემოსავალს, აქედან მხოლოდ ერთი მილიონი ეძლევა ეგვიპტეს. „ეს, — თქვა ნასერმა, — ეგვიპტის ფულია, და ეგვიპტეს სრული უფლება აქვს დაუბრუნოს ფული ხალხს“. ნასერმა აღნიშნა, რომ კომპანიის ნაციონალიზაციით მიღებული სახსრება მოხმარდება ეგვიპტის ეკონომიური განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის პროექტების განხორციელებას, აგრეთვე მაღალი კაშხალის მშენებლობას. „ჩვენ, — განაცხადა პრეზიდენტმა ნასერმა, — ავაშენებთ მაღალ კაშხალს. 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი წელიწადში, რასაც სუეცის არხის კომპანია იღებდა, ამიერიდან ეგვიპტეს მოხმარდება. ჩვენ უკან ვიბრუნებთ ჩვენს უფლებებს და ბოლომდე დავიცავთ მათ. ჩვენ უკან არ დავიხევთ ომით მოვაჭრეთა წინაშე და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმავთ ჩვენს რიგებს და საერთო ღონისძიებებით ვეცდებით მივაღწიოთ ჩვენს მიზანს“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

ვაშინგტონი, 27 ივლისი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესისათვის გადასცა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „სასურველი კონსულტაციები აქვს სხვა დაინტერესებულ მთავრობებთან“ ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ კონსულტაციები, რომლებიც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ლონდონსა და პარიზში, გაფართოვდება და მაშინ შეყვანილი იქნებიან სხვა ქვეყნები, უმთავრესად დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

სპორტის ამბები

გამოვლინდნენ ფინალში მოწაფილე სპორტსმენები

მოსკოვი, 28 ივლისი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.) გუშინ საღამოს დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფრენბურთელთა უკანასკნელი შეჯვედრები ჯგუფებში.

გუშინდელი საღამოს მატჩების შედეგები ასეთია: ქალთა გუნდებისა — რსფსრ ნაკრები— ყირგიზეთი 3:1, უკრაინა—უზბეკეთი 3:0, ლიტვა — აზერბაიჯანი 3:0, ლენინგრადი — საქართველო 3:1, აზერბაიჯანი — ტაჯიკეთი 3:2, ლატვია — თურქმენეთი 3:0; ვაჟთა გუნდებისა — რსფსრ ნაკრები — ლიტვა 3:0, ლატვია — ბელორუსია 3:0, მოლდავეთი — ყირგიზეთი 3:2, სომხეთი — კარელია 3:0, ლენინგრადი — აზერბაიჯანი 3:1, მოსკოვი — თურქმენეთი 3:0.

ამრიგად, ხუთი დღის საინტერესო ბრძოლა სამიე ჯგუფში დამთავრდა. ქალთა გუნდებიდან პირველ ფინალურ ჯგუფში გავიდნენ უკრაინის, ლატვიის, საქართველოს, რსფსრ, ლენინგრადისა და მოსკოვის სპორტ ცენტრა ნაკრები კოლექტივები. ვაჟთა გუნდებიდან — უკრაინის, ლატვიის, რსფსრ, ლენინგრადის, მოსკოვის და ესტონეთის ფრენბურთელთა გუნდები.

დღეს ფრენბურთელები ისვენებენ. ხვალ დაიწყება შეჯიბრება ფინალურ ჯგუფებში.

ქალთა ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში

ქალუგა. აქ გრძელდება სსრ კავშირის ქალთა XVIII საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალი. XI ტურში ე. კაკაბაძემ მოუგო ნ. რუდაკოვას (ურუხუს). XII ტურში მან გაიმარჯვა ნ. ივაშინასთან (კუიბიშევი). ე. კაკაბაძემ ყიინმი დაამთავრა პარტია XIII ტურში ნ. რუსინკევიჩთან (სტალინო).

ამრიგად XIII ტურის შემდეგ ე. კაკაბაძეს და ლ. ვოლპერტს აქვთ 11-11 ქულა, ნ. ვოიცეკსა და რ. ესტერკინს 9½ ქულა თვითეულს.

მასობრივი ტურნირი

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დასასრულს უახლოვდება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური მასობრივი ტურნირი.

შეჯიბრებაში ექვსი დაძაბული ტურის შემდეგ წინ არიან ოსტატობის კანდიდატები ა. ბლაგიძე, ო. კაკაბაძე, პირველთანრიგოსანი მ. დემურია, რომლებსაც 5-5 ქულა აქვთ.

საინტერესოდ მიმდინარეობს ქალთა ტურნირი, რომლებშიც უკვე რვა ტური გათამაშებულა. აქ ლიდერობენ თბილისელი პერმინოვა — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია და მ. ლოლაშვილი — 6 ქულა.

კურორტი დარიალი. დამსვენებელთა ერთი ჯგუფი სანატორიუმის წინ.
ფოტო გ. გოგოხიასი.

თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში

დიდ ნათელ დარბაზში მონოტონური ხმაური ისმის. აპარატების სათითურებზე ბეჭდვით ტელეგრაფისტები ყოველდღიურად ათასობით დეპეშას გადასცემენ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში. თუ რომელ ქალაქთან არის დაკავშირებული ტელეგრაფი, ამაზე მეტყველებენ აპარატების გვერდით გაკეთებული წარწერები: „როსტოვი“, „ხარკოვი“, „კიევი“, „ხოჯი“, „ფოთი“, „ქუთაისი“, „ბაკო“, „ბათუმი“.

— აი ახლა ეს აპარატი, — გვეუბნება ინჟინერი გ. ბაკრაძე, — დეპეშას მოსკოვში გადასცემს.

გაგვიკვირდა, რადგან აპარატთან გადამცემი ტელეგრაფისტი არ ჩანდა.

— როგორ, ავტომატურად?

— დიახ, განა მარტო ეს აპარატი მუშაობს ასე? აგერ ისიც, ხელმარჯვნივ.

თურმე თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში დეპეშების ავტომატიზებული მიღება-გადაცემა დაინერგა, რაც შემდეგში მდგომარეობს:

დეპეშა რომ იგზავნებოდა, მაგალითად, გორიდან მოსკოვში, მას ჯერ თბილისის ტელეგრაფი იღებდა, შემდეგ დეპეშას მოსკოვის ხაზზე მომუშავე ტელეგრაფისტი კითხულობდა და მოსკოვში გადასცემდა. ახლა ასე არ ხდება. ცენტრალურ ტელეგრაფში მას პერფორირებულ ლენტზე იღებენ (სტაუვები ნახვრეტებით არის კოდირებული). ამ ლენტს მოსკოვში გადამცემ აპარატს უერთებენ და დეპეშა ტელეგრაფისტის სრულიად ჩაურევლად ავტომატურად იგზავნება.

ტრანზიტით გადასაგზავნი დეპეშები უამრავია. საკმარისია ითქვას, რომ ყველა ის დეპეშა, რომელიც თბილისის საფოსტო განყოფილების ტელეგრაფის აპარატებით იგზავნება, პირველად ცენტრალურ ტელეგრაფში უნდა მოხვდეს. ამიტომ აქ განხორციელებულ ავტომატიკას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ცენტრალურ ტელეგრაფში 70 პროცენტზე მეტი აპარატი გადაყვანილია ავტომატიზებულ მიღება-გადაცემაზე. თუ წინათ ტელეგრაფისტი ერთ აპარატს ემსახურებოდა, ახლა მას შეუძლია ერთდროულად იმუშაოს ორზე. ამასთან დიდად გაიზარდა აპარატების გამტარუნარიანობა.

ავტომატიზებული მიღება-გადაცემის მოწყობა განახორციელეს მთავარმა ინჟინერმა ნ. ჩხიკვაძემ, უფროსმა ინჟინერმა ს. დაუშვილმა და ავტომატიზებული კვანძის ინჟინერმა გ. ბაკრაძემ.

უახლოეს დროში ავტომატიკაზე გადავა ტელეგრაფის სხვა აპარატებიც. მაშინ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი უფრო სწრაფად გაატარებს სატელეგრაფო დეპეშებს.

ა. ქარბელაშვილი.

• • •

სურათზე: ტელეგრაფისტი ანა ნიკიტენკო დეპეშების მიღება-გადაცემის ავტომატურ აპარატთან.
ფოტო ო. თურქიასი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების კავშირთან ჩამოყალიბდა ახალგაზრდა არქიტექტორთა კომისია, რომლის მიზანია აამაღლოს მათი პროფესიული დონე და დარაზმოს ისინი შენებლობისა და არქიტექტურის საქმის ახლებურად წარმართვისათვის.

კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია ტიპური პროექტების განხილვა, არქიტექტორთა ახალი ნამუშევრების გამოფენების, არქიტექტურის, ქანდაკების, ფერწერისა და ხელოვნების სხვა დარგების გამოჩენილ ოსტატებთან შეხვედრების გამართვა, შემოქმედებითი დელეგაციების გაცვლა მოძმე რესპუბლიკებთან, კონკურსების მოწყობა და სხვ.

ამ დღეებში საქართველოს არქიტექტორთა კავშირის შენობაში გაიხსნა არქიტექტორ ვ. მესხიშვილის ნამუშევართა გამოფენა. ექსპონირებულია მისი ჩანახატები არქიტექტურულ თემებზე, პროექტები, ფოტოსურათები და მაკეტები. გარდა ამისა, გაიმართა ვ. მესხიშვილთან შეხვედრა, რომელზეც თავიანთი აზრი გამოთქვეს არქიტექტორებმა ა. ცურდიანმა, ვ. ბერიძემ, დ. მორბედაძემ, ვ. ფოფხაძემ, ო. კალანდარიშვილმა, თ. თევზაძემ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს ვ. მესხიშვილის უკანასკნელი ნამუშევრები — აგარაკი წყნეთში, საბაფხულო ღია თეატრი კიროვის სახელობის პარკში, რესტორანი „თბილისის ზღვაზე“ და სასპორტო დარბაზი ათი ათასი მაყურებლისათვის. ეს ნაგებობანი გამოირჩევიან ფორმის სისადავით, შინაარსის მკაფიო გამოხატულებით, საინტერესო კონსტრუქციებით, თავისუფალი არიან ზედმეტი დეკორაციულობისაგან.

სასამართლოს დარბაზიდან

სახელმწიფო ქონების მფლობელები დაისაჯნენ

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერი გ. ნ. ჯავახიშვილი და მთავარი მოლარე ნ. ე. ხოფერია წლების მანძილზე ადგენდნენ სალაროს გასავლის ყალბ საბუთებს და ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს. ამ გზით მათ გაფლანგეს და განიავეს 518.596 მანეთი.

ამავე დაწესებულების ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ვ. ი. მახალდიანი ადვილად დაეუფლა მეგობარ გამფლანგველთა ბნელ ტექნიკას, გადმოიღო მათი გამოცდილება. სისტემატურად ადგენდა ყალბ განაწესებს, რითაც სახელმწიფოს 231.793 მანეთი წაგლიჯა.

ბორტმოგზაურები და მათი ხელშემწყობნი შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს.

ამ დღეებში დამნაშავეთა საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. შ. მახარაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ამხ. ვ. ფონიას მონაწილეობით. სასამართლომ გ. ნ. ჯავახიშვილს და ნ. ე. ხოფერიას მიუსაჯა—25 წლის პატიმრობა თვითეულს პირადი ქონების კონფისკაციით; ვ. ი. მახალდიანს—22 წლის პატიმრობა პირადი ქონების კონფისკაციით. ღირსეული სასჯელი მიეზღოთ აგრეთვე ამ საქმეში სხვა დამნაშავე პირებსა და მათ ხელისშემწყობთ.

დარბაზში დამსწრენი კმაყოფილებით შეხვდნენ განაჩენს.

კ. კვარაციხელი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-18 ტირაჟისა,

რომელიც გაიმართა 1956 წლის 22 ივლისს ქალაქ ურალსკში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
020194	1—50	500	024473	1—50	200	028288	17*)	1.000	031587	1—50	500	034973	04*)	1.000
020686	39*)	1.000	024561	33*)	1.000	028383	1—50	500	031608	1—50	500	035667	45*)	10.000
020862	22*)	1.000	024603	06*)	1.000	028419	18*)	1.000	031613	29*)	1.000	035874	48*)	1.000
020871	20*)	1.000	024672	30*)	1.000	028433	35*)	1.000	031710	28*)	1.000	035905	1—50	200
021019	19*)	1.000	024705	22*)	1.000	028498	22*)	1.000	031935	34*)	1.000	035923	1—50	500
021236	41*)	1.000	024718	1—50	500	028733	30*)	5.000	031966	08*)	1.000	036052	09*)	1.000
021578	1—50	500	024807	21*)	1.000	028748	39*)	1.000	032007	40*)	1.000	036241	31*)	50.000
021715	1—50	200	024840	1—50	500	028789	1—50	500	032230	05*)	1.000	036515	12*)	1.000
021835	18*)	5.000	025138	1—50	200	028830	30*)	10.000	032296	1—50	500	036567	22*)	1.000
021885	1—50	200	025156	10*)	1.000	028838	15*)	1.000	032456	46*)	5.000	036744	24*)	10.000
022071	37*)	1.000	025318	43*)	1.000	028882	05*)	1.000	032474	30*)	1.000	036745	16*)	1.000
022099	31*)	1.000	025597	36*)	1.000	028968	37*)	1.000	032506	1—50	200	037025	1—50	200
022152	11*)	1.000	025777	1—50	200	028994	1—50	200	032776	47*)	5.000	037149	07*)	1.000
022388	26*)	1.000	025947	31*)	1.000	029049	16*)	1.000	032837	12*)	1.000	037299	33*)	1.000
022452	48*)	1.000	025993	30*)	5.000	029051	26*)	1.000	033166	17*)	1.000	037317	37*)	1.000
022501	1—50	500	026024	03*)	1.000	029083	13*)	1.000	033262	08*)	1.000	037456	25*)	1.000
022591	25*)	25.000	026103	1—50	200	029162	12*)	1.000	033278	03*)	1.000	038011	35*)	1.000
022682	03*)	1.000	026216	02*)	1.000	029636	19*)	1.000	033341	1—50	500	038252	1—50	500
022903	40*)	1.000	026288	49*)	1.000	029675	37*)	10.000	033394	36*)	1.000	038648	02*)	1.000
022924	27*)	1.000	026338	1—50	200	029790	08*)	1.000	033471	1—50	200	038810	10*)	1.000
023067	25*)	5.000	026442	30*)	1.000	030128	40*)	1.000	033482	1—50	200	038811	1—50	200
023090	48*)	1.000	026446	1—50	200	030244	10*)	1.000	033646	1—50	500	039007	1—50	500
023175	10*)	1.000	026485	1—50	500	030275	11*)	1.000	033685	10*)	1.000	039067	39*)	1.000
023261	1—50	200	026527	1—50	200	030276	1—50	200	033938	24*)	1.000	039082	37*)	1.000
023397	32*)	5.000	026751	42*)	1.000	030294	1—50	200	033960	15*)	1.000	039123	28*)	5.000
023543	18*)	1.000	027371	02*)	25.000	030441	12*)	1.000	033992	45*)	5.000	039178	1—50	200
023580	13*)	1.000	027442	39*)	1.000	030492	01*)	1.000	034078	1—50	200	039238	1—50	200
023600	1—50	500	027452	38*)	1.000	030553	1—50	500	034280	25*)	1.000	039712	42*)	5.000
023806	45*)	1.000	027481	08*)	1.000	030685	1—50	200	034295	01*)	1.000	039775	42*)	1.000
023962	48*)	1.000	027635	05*)	1.000	030838	1—50	200	034394	49*)	1.000	039781	03*)	1.000
024107	07*)	1.000	027721	29*)	1.000	030932	1—50	200	034716	14*)	1.000	039840	47*)	1.000
024174	14*)	1.000	027784	26—50	200	030933	1—50	500	034898	1—50	200	039875	49*)	10.000
024352	1—50	200	028083	1—50	200	030947	1—50	500	034947	44*)	1.000	039925	1—50	200
024454	13*)	1.000	028285	06*)	1.000	031143	20*)	1.000						

*) ამ სერიის ობლიგაციებს დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — დასავლეთ ყაზახეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ჰ. ჰ. ვოლოშკო.
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები

ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე;

გასცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე;

გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით სსრ კავშირის ყველა შემნახველ სალაროში;

აწარმოებენ აკრედიტივების გაცემასა და განაღდებას;

ანაღდებენ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებას.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი პროცენტების ან მოგებების სახით.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროსთვის მინდობილი ფულისა და ფასეულობის დაცულობა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

შეინახეთ ფული შემნახველ სალაროში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატორის 2 ვაკანტურ თანამდებობაზე და ენტომოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (კანდიდატი ან დოქტორი) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.

ორდინატურაში (სწავლების ვადა ორი წელი) მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არა უმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიალური ასლი, ავტობიოგრაფია, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, დაბადების მოწმობის ნოტარიალური ასლი, ჯანმრთელობის განყოფილებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვა კონკურსში მონაწილეობის მიღების შესახებ.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის კანცელარიაში, პლეხანოვის პრსპ. № 139.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო). **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — გადარეული დღე, ოქტომბერი, **ფილარმონიის ბაღი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ძვირფასი საჩუქარი, **სპარტაკი, კომკავშირელი, ისანი** (საზაფხულო), **კოლმეურნე, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — სასტუმროს შოკრიკი, **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ჩემი ქალაქშეილი ვენაში ცხოვრობს, **კ